



F556

სახალთველოს საგანოთა სოციალისტური რესპუბლიკის  
მთავრობის

## დადგენილებათა და განკარგულებათა პრეზული

1941 წ. იანვრის 31

№ 3

თბილისი

შ 0 6 1 5 6 0

სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (პ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი

16. ქართლის რაიონების კოლმეურინებებში საზოგადოებრივი მეცნიერებლობის განვითარების ღონისძიებათა შესახებ.
17. ქართლის რაიონების კოლმეურინეთა საკარმიდამო ნაკვეთებზე პეტილის სავალდებულო გაშენების შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

18. სსრ კავშირის დამხადებათა სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის მო- ადგილედ ამს. ე. შ. წულაას დამტკიცების შესახებ.
19. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის წაკრძალებში ნადირობის აკრძალვის შესახებ.
20. საქართველოს სსრ ფინანსების საბიუჯეტო სამსართველოს ორგანიზაციის შესახებ.
21. ქ. თბილისში სსრ კავშირის ზორისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატი „ვლაგზლადოპრომი“-ს სადერატიზაცია-სადეზინსექციო სადგურის ლენინგრადის გამ- ყოფილების მოწყობის შესახებ.

ସବୁରେ କମାଳିତା କମାଳିତା କମାଳିତା କମାଳିତା କମାଳିତା

16. ქართლის რაიონების კოლმეურნეობებში საზოგადოებრივი მეცნიერების განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

„საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მეცნახეობის, შემდგომი აღმავლობის ლონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახკომისაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წ. 15 ოქტომბრის დადგენილების განსახორციელებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი დაგენერ:

1. 1945 წლის დამლევისათვის ქართლის რაიონების კოლექტურობებში პირუტყვის საზოგადოებრივი სულაცია აყვანილ იქნა:

ა) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისა კამეჩის ჯოგითურთ 190 ათას სულამდე, მათ შორის: ძროხისა და ფურქამეჩისა — 41,0 ათას სულამდე, ხარისა და კამეჩისა — 2 წელზე ზევით — 80 ათას სულამდე. პირუტყვის სულალობის გადიდების გეგმა რაიონებისა და წლების მიხედვით განაწილდეს № 1 დანართის თანახმად;

8) ცხერისა და თხისა — 558 ათას სულამდე, მათ შორის: დედაცხერისა და დედათხისა — 309 ათას სულამდე. ცხერისა და თხის სულადობის გადიდების გეგმა რაიონებისა და წლების მიხედვით განაწილდეს № 2 დანართის თანახმად:

გ) ოორისა—20 ათას სულამდე, მათ შორის: დედალორისა 9 თვეზე ზე კით—5,5 ათას სულამდე. ოორის სულადობის გადიდების გეგმა რაიონების და წლების მიხედვით განაწილდეს № 3 დანართის თანახმად;

დ) ცხენისა—8,9 ათას სულამდე, მათ შორის ფაშატი ცხენისა—2,5 ათას სულამდე. ცხენის სულადობის გადიდიდების გეგმა რაიონებისა და წლების მიხედვით განაწილდეს № 4 დანართის თანახმად.

2. ვინაიდან საკოლმეურნეო ჯოგის საკუთარი რეპროდუქცია ვერ უზრუნველყოფს ამ გეგმით გათვალისწინებული პირუტყვის სულადობის გადიდების გეგმის შესრულებას. დაწესდეს კოლმეურნეობათა ფერმების და აგროფერმების პირუტყვის დასაკუმბლექტებლად კოლმეურნებისა და სხვ. მეურნეობებისაგან პირუტყვის შესყიდვის გეგმა შემდეგი რაოდენობით: 5,6 ათასი სული ძრობისა, უმობლისა და დეკულისა; 15 ათასი სული ხარისა, კამეჩისა და მოზერისა, 13 ათასი სული ცხერისა და თხისა. აღნიშნული გეგმა რაიონებისა და წლების მიხედვით განაწილდეს № 5 დანართის თანახმად.

3. სულადობის ზრდასთან ერთად უმნიშვნელოვანების ამცანად ჩაითვალის კოლმეურნეობებში პირუტყვის ჯიშობრივი შემაღებენლობის გაუმჯობესება, რისთვისაც გატარდეს შემდეგი ლონისძიებანი:

ა) იმის გათვალისწინებით, რომ ამეაძალ წარმოებული მეტიზაციაზე კორონა  
უზრუნველპყოფს უახლოეს წლებში პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის  
მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, 1941 წლს ქართლის რაიონების კოლმეურნეო-  
ბებში მოწყოს შვიცის ჯიშის მსხვილი რქიანი პირუტყვის მეცხოველეობის 16  
საჯიშე ფერმა, აქედან ორ-ორი ფერმა ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის,  
ბორჯომისა და ოთორიწყაროს რაიონებში და თითო ფერმა დუშეთის, თანანეთის,  
თბილისისა და მცხეთის რაიონებში.

პირუტყვის სულადობა ამ საჯიშე ფერმებში 1945 წლის დამლევისათვის  
აყვანილ იქნას 3170 სულამდე (მათ შორის 1370 ძრობა), აქედან ჯიშიანი პი-  
რუტყვისა—2485 სულამდე (მათ შორის 1.000 ძრობა), რაც რაიონებისა და  
კოლმეურნეობათა მიხედვით განაწილდეს № 6 დანართის თანახმათ;

ბ) საჯიშე ფერმების დასაკომპლექტებლად და აგრეთვე მეტიზაციის მიზ-  
ნებისათვის დამტკიცდეს ქართლის რაიონების კოლმეურნეობებისათვის 1941  
წლს ჯიშიანი პირუტყვის მიყიდვის შემდეგი გვეგმა:

შვიცის ჯიშის მოზეერი არაუმცირეს მესამე გენერაციისა 300 სული, მათ  
შორის საჯიშე ფერმებისათვის—36 სული;

შვიცის ჯიშის უშობელი არაუმცირეს მეორე გენერაციისა საჯიშე ფერმე-  
ბისათვის—200 სული;

შვიცის ჯიშის დეკეული არაუმცირეს მეორე გენერაციისა საჯიშე ფერმე-  
ბისათვის—400 სული;

წმინდა ჯიშის საჯიშე ყოჩი- „რამბულიეს“ ჯიშისა—350 სული და „პრე-  
კოსის“ ჯიშისა—150 სული;

ინგლისური ჯიშის მსხვილი თეთრი ჯიშის კერატი—200 სული და დედა-  
ლორი—250 სული;

ინგლისურ-ყაბარდოული და ყაბარდოული ფაზატი—600 სული;

მიყიდოს კოლმეურნეობებს სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალ-  
ხო კომისარიატის საქართველოში არსებული ცხენსაშენებიდან ინგლისური,  
ინგლისურ-ყაბარდოული და ყაბარდოული ჯიშის 26 ჯიშიანი ულაყი.

კოლმეურნეობებისათვის ჯიშიანი პირუტყვის მიყიდვის გვგმის განაწილება  
რაიონებისა და კოლმეურნეობათა მიხედვით დამტკიცდეს № 6 და 7 დანართე-  
ბის თანახმად;

გ) წინადადება მიეცეს ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის, ბორჯომის,  
თბილისის, მცხეთის, დუშეთის, თიანეთის, ყაბბეგისა და ოთორი წყაროს რაიო-  
ნების პარტიის რაიონულ კომიტეტებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონულ  
საბჭოების აღმსარულებელ კომიტეტებს დაუყოვნებლივ შეუდგენ მშადებას შე-  
მოსაყანი საჯიშე პირუტყვის მისაღებად, არაუგვიანეს 1941 წლის 15 იანვრისა  
დაამთავრონ პირუტყვის სადგომების მოწყობა და უზრუნველყოფა მიღებული  
პირუტყვის საჯიშე ფერმებში განცალკევებულად შენახვა, გამოპყონ, საქმიარისი  
რაოდენობა უხეში, წვნიანი და კონცეტრირებული საკვებისა და აგრეთვე და-

ნიშნონ საჯიშე პირუტყვის მოსავლელად გამოცდილი კოლმეურნომისტური ველები.

საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა შეამოწმოს ქართლის რაიონების კოლმეურნეობათა მზადყოფნა საჯიშე პირუტყვის მიღებისა და დაბინავებისათვის და არაუგვიანეს 1941 წლის 15 იანვრისა მთაბენოს შედეგი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტ-რალურ კომიტეტს;

დ) დუშეთის, თიანეთის, გასპისა და გორის რაიონების მთიან სოფლებში და აგრეთვე ყაზბეგის რაიონში დაცულ იქნას მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხევსურული ჯიში. დაევალოს მიწათმოქმედების ორგანოებს და კოლმეურნეობათა გამეობებს მოაწყონ საკოლმეურნეო ფერმებში ამ ჯიშის ძროხებისა და მწარმოებლების საუკეთესო სულადობის სისტემატური შეჩერვა რეპროდუქციისათვის;

ე) მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხევსურული ჯიშის გაუმჯობესების მიზნით 1941 წელს მოეწყოს 4 საჯიშე ფურშა, აქედან: დუშეთის რაიონში სოფ. ლუთხების ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში და სოფელ ჩარგალის ვაჟა ფშაველას სახელობის კოლმეურნეობაში; თიანეთის რაიონში—სოფ. არტანის კოლმეურნეობა „მესვეურში“ და ყაზბეგის რაიონში—სოფ. სნოს მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში;

აღნიშნულ საჯიშე ფერმებში პირუტყვის სადედე სულადობის შემადგენლობის გასაუმჯობესებლად დაწესდეს გეგმა 1941 წელს ხევსურული ჯიშის არა-ნაკლებ 20 მალალი წველადობის ძროხის შესყიდვისა თვითეული ფერმისათვის;

ვ) წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს 1941 წლის 1 თებერვლამდე განსაზღვროს ხევსურული ჯიშის საჯიშე პირუტყვის სტანდარტი და მოაწყონ მათი შეტანა ჯიშიანი პირუტყვის წიგნებში;

ზ) დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს და მიწათმოქმედების რაიონულ ორგანოებს გააუმჯობესონ არსებულ მწარმობელთა შენახვა და გამოყენება, მოაწყონ ფერმებში ზოორგექნიფური აღრიცხვა და უზრუნველჰყონ ჯიშიანი მწარმოებლებისაგან მიღებული ნამატის სწორი რეგისტრაცია;

თ) მოეწყოს 1941 წელს ცხენის დასაგრილებელი 12 მუდმივი პუნქტი თბილისის სახელმწიფო ცხენსაშენის ხაზით, შემდეგი განაწილებით რაიონების მიხედვით:

გორის რაიონი . . . . .	2
მცხეთის „ . . . . .	2
თბილისის „ . . . . .	3
დუშეთის „ . . . . .	2
თეთრიშვილის რაიონი . . .	3

ი) ჩატარდეს კოლმეურნეობათა ცხენის მთელი სულადობის შემოწმებად და დაფიქსირების უვარგისი ყველა ფაზატი ცხენი გამოყვანილ იქნას სადედე რეპროდუქციისათვის უვარგისი ყველა ფაზატი ცხენი გამოყვანილ იქნას სადედე შემაღენლობიდან, ხოლო ულაყები და ორი წლის საულაყე კვიცები, რომლებიც უვარგისია საჯიშე მიზნებისათვის, დაკოდილ იქნან 1941 წლის გაზაფხულზე:

კ) აგბულ იქნას და მოწყობის ძროხისა და ცხერის ხელოვნური განაყოფიერების 31 კომბინირებული პუნქტი, რაც რაიონებისა და წლების მიხედვით განაწილდეს № 8 დანართის თანახმად.

4. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს:

ა) მიმდინარე წლის დამლევამდე ყველა რაიონს და საკოლმეურნეო მეურნეობებში მუდმივ სამშაოდ არანაკლებ 60 ზორატექნიკოსის ცხოველეობის ფერმას გაუგზავნოს სავალდებულო ზორატექნიკოსი პირუტყვის ყველა სახისათვის;

ბ) 1941 წლის პირველ კვარტლში გაგზავნოს ქართლის რაიონების კოლმეურნეობებში მუდმივ სამშაოდ არანაკლებ 60 ზორატექნიკოსის;

გ) 1941 წელს მოამზადოს მეცხოველეობის მასობრივი კვალიფიკაციის კადრები: ფერმის გამგე—460, ტექნიკოსი-მეცხოველე—150, ხელოვნური განაყოფიერების ტექნიკოსი—21, მწველავი—510, მწყებისი—250, მელორე—150, ჩობანი—430, მეჯინიბე—90 და ბრიგადირი-მესილოსე—405, რაც რაიონების მიხედვით განაწილდეს № 9 დანართის თანახმად;

(დ) ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს დასამტკიცებლად თურქულისა და მღიერის ეპიზოოტიის და აგრეთვე ლორის ჭირისა და ციმბირის წყლულის გამავრცელებელი კერების მოსპობის ღონისძიებანი.

5. საზოგადოებრივი მეცხოველეობის საკვები ბაზის განმტკიცებისა და გაფართოების მიზნით:

ა) იყვანილ იქნას ქართლის რაიონებში საკვები ბალახების ნათესები 1945 წლის დამლევისათვის სულ მცირე 15.000 ჰექტარამდე, აქედან:

ხაშურის რაიონში . . . 1200 ჰექტარამდე

ქარელის	"	.	.	1500	"
გორის	"	.	.	2000	"
კასპის	"	.	.	1100	"
ბორჯომის	"	.	.	600	"
თბილისის	"	.	.	2500	"
მცხეთის	"	.	.	1600	"
დუშეთის	"	.	.	1100	"
თიანეთის	"	.	.	1100	"
ყაზბეგის	"	.	.	100	"
თეთრიშვილოს	"	.	.	2200	"

ბ) დაწესდეს 1941—45 წლებისათვის ზუნეპრიგი სათიბების თიბების გეგმა—25.460 ჰექტარის ფართობზე და საკვების დასილოსების გეგმა 92.000 ტონის რაოდენობით, რაც რაიონებისა და წლების მიხედვით განაწილდეს № 10 დანართის თანახმად;

გ) 1941—45 წლების განმავლობაში გატარდეს ღონისძიებანი მდელოებისა და საძოვრების ძირითადი გაუმჯობესებისათვის 14.950 ჰექტარის ფართობზე, აქედან ამოშრობა—700 ჰექტ., ყამირის მოხვნა მომდელოებისათვის—890 ჰექტ. მომდელოება—5.350 ჰექტ. და მდელოებისა და საძოვრების ზედაპირული გაუმჯობესება—67.300 ჰექტ., რაც რაიონებისა და წლების მიხედვით განაწილდეს № 11 დანართის თანახმად;

დ) კოლმეურნეობათა საქუთარი სათესლე რესურსების შექმნისა და 1945 წლის დამლევისათვის მომდელოების გეგმის საძოვრის ბალახების თესლით მთლიანად უზრუნველყოფის მიზნით, 1941—1945 წლების პერიოდში გაშენდეს ამ ბალახების სათესლეები 1540 ჰექტარის ფართობზე, რაც რაიონებისა და წლების მიხედვით განაწილდეს № 12 დანართის თანახმად;

ე) დაწესდეს აგარის შაქრის ქარხანაში მშრალი დურდოს წარმოების შემდეგი გეგმა:

1941	წელს . . . . .	8500	ტონა
1942	" . . . . .	8900	"
1943	" . . . . .	6200	"
1944	" . . . . .	7000	"
1945	" . . . . .	7700	"

წინადადება მიეცეს აგარის შაქრის ქარხნის დირექტორს გააფართოოს და მოაწყოს ქარხანაში დურდოს საშრობი და დადგას 2 წნები დურდოს დასაბრიკეტებლად, იმ ანგარიშით, რომ ყველა ეს სამუშაო დამთავრდეს 1941 წლის მოსავლის შაქრის ქარხლის გადამუშავების სეზონის დაწყებისათვის.

6. საკვების წარმოების გეგმის შესრულებისა და საკვები ბალახის ნაკვეთების მოსავლიანობის გადიდების მიზნით დაევალოს ქართლის რაიონების პარტიის რაიონულ კომიტეტებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და მიწათმოქმედების ორგანოებს:

ა) ბუნებრივ და ნათეს სათიბებიდან თივის აღებასთან ერთად უზრუნველჲყონ თივის აღება ყველა იმ ფართობზე, სადაც შეიძლება ბალახის გათიბევა (საძოვრებზე, მიჯნებზე, ხევებში, ნაშევრალის და სხვ. ადგილებში), აგრეთვე მოაწყონ ხელმეორედ გათიბევა იმ ფართობებისა, სადაც პირველი გათიბევის შემდეგ კარგი ბალახი იქნება მოსული;

ბ) თივის აღება აწარმოონ ბალახის ძირითადი მასის ყველილობის დასაწყისში და მაქსიმალურად შემჭიდროებულ ვადებში, ამასთან უზრუნველჲყონ თიბევის დამთავრება პურის მასობრივად აღების დაწყებამდე და არ დაუშეან გარღვევა თივის აღებასა და დაზვინვას შორის.

8) სპეციალური სასილოს ნათესების გარდა მოაწყონ კოლმეურნეობათა მიერ დასილოსებისათვის ბოსტნეულ-ბახჩეული კულტურების ნარჩენების, ზაქ-რის კარხლის ფონის, ძირნაყოფა მცენარეების, ველური მცენარეებისა და სხვა ნედლი მასალის გამოყენება;

დ) 1941 წლიდან მინდვრის საკვები კულტურების თესვა, მომდელოება და საშოგრის ბალახთა სათესლეების გაშენება, სწარმოებდეს შემოღომაზე ძირი-თადად ისეთ ფართობებზე, რომლებზედაც სათოხნი კულტურები ეთესა, აგრე-თვე ანულებზე, ხოლო გაზაფხულზე—მძრალად ხნულზე, მთიანი სოფლების გამოკლებით, ამასთან მდელოებისა და საძოვრების ძირითადი გაუმჯობესების და საძოვრებ ბალახთა სათესლეების გაშენების გეგმების შესრულებისათვის სათანადო ფართობების გამოყოფა უზრუნველყოფილ იქნას არაუგიანეს წინა წლის შემოღომისა;

ე) საკვები კულტურების თესვა და მომდელოება, როგორც წესი, სწარ-მოებდეს გულმოდაგინედ დანაწილებულ, სუფთა (სარეველა ბალახებისაგან გაწ-მენდილ) და სასუქით განოყიერებულ ნაკვეთებზე: გაზაფხულზე—საგაზაფხულო თავთავიანი კულტურების თესვისათვის დაწესებულ ვადებში, ხოლო შემოღო-მაზე—საშემოღომო კულტურების თესვის დაწყების ვადებში;

ვ) ბუნებრივი და ხელოვნური საკვების ნაკვეთთა სისტემატური და წე-იქრი მოვლის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნული ნაკვეთები მიემაგროს მე-მინდვრეობის ბრიგადებს ვადით არანაკლებ 3—4 წლისა;

ზ) დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს 1941 წლის 1-ლ თებერვლისათვის წარმოუდგინოს დასამტკიცებლად საქართვე-ლოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს ლო-ნისძიებანი მდელოებსა და საძოვრებზე აბეზარი სარეველების მოსპობის შესახებ.

7. საკვების მოპოვების და საკვების მომზადების ცალკეული პროცესების მექანიზაციის დონის ასამაღლებლად დაევალოს საქართველოს სსრ მიწათმოქმე-დების სახალხო კომისარიატს შეიტანოს 1941 წელს ქართლის რაიონებში: ცხე-ნის სათიბი—34, ცხენის ფორცხი—34, სილოსმჭრელი უნივერსალური—17, სილოსმჭრელი ცხენის—26, ჩალამჭრელი სხვადასხვა 205, ფესვჭრელი ხელის—28, მარცვალმღერლაგი—10, კოპტონმღერლაგი სხვადასხვა—56, სიმინდის მღერ-ლაგი—48 საკვებდამიორთქლებელი—39, კოლბონმჭრელი—13, თივის საწნები სხვადასხვა—24, მდელოს ფარცხი—40 და ცხენის საძრავი—51 ცალი, რაც ცალკეული რაიონების მიხედვით განაწილდეს № 13 დანართის თანახმად.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე  
გ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი  
კ. შერიფზია.

17. ქართლის რაიონების კოლმეურნეთა საკარმილამო ნაკვეთებზე წესილის საფალდებულო გაშენების შესახებ.

„საქართველოს სსრ ქართლის რაიონებში სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით სამრეწველო მეხილეობისა და მევენახეობის, შემდგომი აღმაგლობის ღონისძიებათა შესახებ“ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1940 წლის 15 ოქტომბრის დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენენ:

1. დაევალოს ბორჯომის, გორის, დუშეთის, ქარელის, კასპის, მცხეთის, თბილისის, თეთრი წყაროს, თიანეთისა და ხაშურის რაიონების კოლმეურნეებს 1945 წლისათვის საქარმილამო ნაკვეთებზე იქონიონ არანაკლებ 20 ძირი ხეხილისა (ვაშლი, მსხალი, კაკალი, არამი, ბალი და ალუბალი) თვითეულ კომლზე. რისთვისაც 1941—1945 წლების პერიოდში დარგონ ახალი ხეხილის საჭირო რაოდენობა.

2. დამტკიცდეს ამასთან დართული სიი სოფლებისა, რომლებშიც სავალდებულო წესით არ უნდა გატარდეს ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ღონისძიება.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მიწასახეობის, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში ჩამოთვლილ ქართლის რაიონების მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად:

ა) 1941 წლის 1 მარტამდე აღრიცხონ იმ კოლმეურნეთა მეურნეობანი, რომელთა საქარმილამო ნაკვეთებზეც ხეხილი ამა დადგენილებით დაწესებულ რაოდენობაზე ნაკლებია;

ბ) რაიონული სამიწათმოქმედო ორგანოების საშუალებით უზრუნველჰყონ კოლმეურნეთა დროული მომარაგება ხეხილის ნერგებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სანერგებიდან;

გ) სისტემატურად შეამოწმონ ამა დადგენილების შესრულება.

საქ. სსრ ს. კ. ს ოს თავმჯდომარე  
გ. ბაქრაძე.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივანი  
კ. ჩარკვიანი.

1940 წ. დეკემბრის 26. № 2680.  
თბილისი.

სის გარეთის ჩაინიშნების მა სოფლებისა, რომელთაც არ უდის  
გარემოს ხელის სავალდებულო გაფენება კოლექტივთა  
საკარგილამო ნაკვეთია

## 1. ბორჯომის რაიონი

1. მაკარწყალის სასოფლო საბჭო—სოფლები: მაკარწყალი, შინუბანი, გვერდისუბანი, აიდაროვი, ვარდევანი და ტყემლოვანი.

2. გუჯარეთის სასოფლო საბჭო—სოფლები: გუჯარეთი, ოდეთი, ღინტური, დიდი თონეთი, პატარა თონეთი, დიდი ტუსრები, პატარა ტუსრები და ში-ოელ-სოფელი.

3. ბაკურიანის სასოფლო საბჭო—სოფლები: ბაკურიანი, ლილი მიტარბი, პატარა მიტარბი, თელოვანი, თორი და საკოჭავი.

4. ციხისჯერის სასოფლო საბჭო—სოფელი ციხისჯვარი.

5. ტაბაწყურის სასოფლო საბჭო—სოფლები: ტაბაწყური, მოლითი, ჩიხარულა, ბალანთა და ნარიანი.

## 2. გორის რაიონი

1. ხურვალეთის სასოფლო საბჭო—სოფელი ზეგარდა.

2. შავშევების სასოფლო საბჭო—სოფელი ავაზანი.

3. ქახვრელის სასოფლო საბჭო—სოფელი უფლისციხე.

4. ბობნევის სასოფლო საბჭო—სოფლები: ქვემო ბალოგანი, ლევიტანა, ფერვის-ხევი, იფნარა და ოხინალა.

5. დრეს სასოფლო საბჭო - სოფლები: დრე, იქნევი, ხანდისი, სიქალეთი, დიდი წერეთი, ღვედრეთი, ქვემო ურიული და ველები.

6. მღებრიანის სასოფლო საბჭო—სოფლები: მღებრიანი, ობიანი, ზემო-ბალოებანი, პატარა წერეთი, საჯია და სახორცე.

7. ზემო-ახალსოფლის სასოფლო საბჭო—სოფლები: გულხანდისი, ჭანჭახა და იური.

### 3. പാളിക്കുന്ന രാജ്യം

1. მლეთის სასოფლო საბჭო—სოფლები: კაშაური, ჯალუმინი, სეიანანი-როსტიანი, მუღურე, წევრე, სეთურები, შონჩი-ეოქონი, ბენიანთ-ბედონი, ზა-ქარეარი და იუხო.

2. უკანონშეავის სასოფლო საბჭო—სოფლები: უკანა ფშავი, ახალი, მუქო, უძილაურები და შეაფხო.

3. მაღაროსკარის სასოფლო საბჭო—სოფლები: წითრან-კანატია, მაღარო, ხომი, აფშონ და გომეწარი.



4. ფასანაურის სასოფლო საბჭო—სოფლები: ჩადისციხე, ჩირიკვა, ქუპებაშვილი, სოლევი, დოხირი, ცხვედიეთი და ბანცურები.
5. გუდამაყრის სასოფლო საბჭო—სოფლები: ჩობალაურები, ჩოხი, თო-თიაურები, საჩალის ჭალა, წინამხარი და დიღგბაანთათიური.
6. უნივალის სასოფლო საბჭო—სოფლები: ზემო-ხორხი. მენესო, ხარჭიშო, ქვემო-ხორხი და ხირაუშა.
7. ანაურის სასოფლო საბჭო—სოფლები: კალოეთი და უფურეთი.
8. ხევსურეთის ყველა სასოფლო საბჭო.

#### 4. ქარელის რაიონი

1. ზემო-ხვედურეთის სასოფლო საბჭო—სოფლები: ტყემალა, რცხილის-წყარო.
2. ზღუდერის სასოფლო საბჭო—სოფელი არცევი.
3. გვერძინეთის სასოფლო საბჭო—სოფლები: ბატეთი, კოდმანი, ქიმაანთ-ჯარი, ქვათეთრი და წიფლვევანი.
4. მუხილეთის სასოფლო საბჭო—სოფლები: ტყემლოვანი, მუხილეთი, აბუბალო, ქვემო-შვანო, ზემო-შვანო.
5. იმერხევის სასოფლო საბჭო—სოფლები: ორბოძალა და ველისციხე.

#### 5. კასპის რაიონი

1. გოსტიბეს სასოფლო საბჭო—სოფლები: ქვემო-გოსტიბე, ზემო-გოსტიბე გოგოთი, კამერი, სალომე, სამოქალა, გარგარი, ზირთა, ჩაჩუბეთი და რკონი.
2. წითელქალაქის სასოფლო საბჭო—სოფელი ზენადრისი.
3. წინარეხის სასოფლო საბჭო—სოფლები: საკურათხისი, ბოტისი, წიფო-რი, ტყემლოვანი, ზეარიკოტმანი, ვერხხეული, პარეტისი და ვარჯაანი.
4. ერთაშორისის სასოფლო საბჭო—სოფელი ცხავერი.
5. ქვემო-ჭალის სასოფლო საბჭო—სოფელი ვაკე.

#### 6. თბილისის რაიონი

1. ლისის სასოფლო საბჭო—სოფლები: ჯალაანთხევი, ტაბარუკი და ლე-ლობი.
2. ლილმის სასოფლო საბჭო—სოფელი კორათხევი.

#### 7. თეთრი წყაროს რაიონი

1. კლდეისის სასოფლო საბჭო—სოფლები: პატარა კლდეისი და ღიღი კლდეისი.
2. დუშმანისის სასოფლო საბჭო—სოფელი შიხელო.
3. ახვალფის სასოფლო საბჭო—სოფლები: ფიტარეთი, ქვემო ახვალფა, ზემო ახვალფა და წყნარი აბანო.



4. შეხვეტილას სასოფლო საბჭო—სოფლები: ნაპილნარი, გოხნარა, არხოვა, და ჭინჭრიანი.

#### 8. თიანეთის რაიონი

სოფლები: ზენამხარი, ივლიანთ-გორი, ლახატო, ბუჟყვინტი, ქუშევი, სოფლიონი და ბაჩილი.

#### 9. ხაშურის რაიონი

1. ღართის სასოფლო საბჭო—სოფლები: სათიბები, დიდი თხილნარი და პატარა თხილნარი.

18. სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის საქართველოს სსრ რწმუნებულის მოადგილედ ამს. ე. მ. წულაია დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

დამტკიცებულ იქნას ამს. ე. მ. წულაია სსრ კავშირის დამზადებათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილედ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. დეკემბრის 30. № 2702.  
თბილისი.

19. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ნაკრძალებში ნადირობის აკრძალვის შეხახებ.

დაბატებით დებულებისა საქართველოს სსრ ტერიტორიაზე ნადირობის შესებისა და ვადგების შესახებ (მუხ. 9), რაც დამტკიცებულია საქართველოს სსრ სახკომისაბჭოს 1940 წლის 9 სექტემბრის დადგენილებით (საქ. სსრ დადგ. კრ. 1940 წ. № 24, მუხ. 101), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

დაქმაყოფილდეს აფხაზეთის ასსრ სახკომისაბჭოს შუამდგომლობა და გაერ-ეცლდეს აფხაზეთის ასსრ შემდეგ ნაკრძალებზე ნადირობის, იგრეთვე მიწის, ტყიანი და წყლით გაფარული ფართობების ყოველგვარი გამოყენების აკრძალვა არანაკრძალის მიზნებისათვის:

გუმისტის სანადირო ნაკრძალზე.

რიცის ტბის რაიონზე, იუპშარის ხეობის ჩათვლითი,

მიუსერის ნაკრძალზე,

სოხუმის სატყეო ნაქრძალზე,  
ვენეციური ხეობაზე,  
ბიჭვინთის ფიჭვის ჭალაზე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.  
საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. დეკემბრის 31. № 2714.  
თბილისი.

---

20. საქართველოს სსრ ფინანსების საბიუჯეტო სამმართველოს ორგანიზაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის წინადადების სახელმწიფო ბიუჯეტის სამმართველოს, სახალხო მეურნეობის და ფინანსების სამმართველოს და აღგილობრივი ბიუჯეტის სამმართველოს გაუქმებისა და ამ სამმართველოების ნაცვლად ერთიანი საბიუჯეტო სამმართველოს ორგანიზაციის შესახებ.

2. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო სამმართველოსთან შეიქმნას შემდეგი განყოფილებანი:

ა) განათლების და კულტურის დაფინანსების განყოფილება;

ბ) ჯანმრთელობის დაცვის, ფინანსურტურისა და სოცურუნველურის და ფინანსების განყოფილება;

გ) სოფლის მეურნეობის დაფინანსების განყოფილება;

დ) კომუნალურ-საბინაო მეურნეობის, საგზაო, ავტოსატრანსპორტო მეურნეობისა და ვარკობის დაფინანსების განყოფილება;

ე) კების, ხორცისა და რძის, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის დაფინანსების განყოფილება;

ვ) აღვილობრივი და სატყეო რაიონული მრეწველობის და საშენ მასალათა მრეწველობის დაფინანსების განყოფილება;

ზ) ნაკრებ საგეგმო განყოფილება.

3. დაწესდეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მეორე გაუნათვისუფლებელი მოადგილის თანამდებობა.

4. დაწესდეს, რომ საბიუჯეტო სამმართველოს უფროსი ამავე დროს არის საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე.

5. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისარობრივი სამინისტროს 1940 წლის 6 სექტემბრის დადგენილება „საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის აპარატის სტრუქტურის შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. ქრ. 1940 წ. № 22, მუხ. 95).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. დეკემბრის 31. № 2728.

თბილისი.

21. ქ. თბილისში სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის ხახალხო კომისარიატის „გლავხლადოპრომის“ სადერბატიზაციო-სადეზინსექციო სადგურის ლენინგრადის განყოფილების მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის ხახალხო კომისარიატის შუამდგომლობასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ნებადართულ იქნას, რათა ქ. თბილისში მოეწყოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის „გლავხლადოპრომის“ სადერბატიზაციო-სადეზინსექციო სადგურის ლენინგრადის განყოფილება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. დეკემბრის 31, № 2730.

თბილისი.

ଧୀମତିରେଖାଲୋ: ସାହାରନ୍ତରେଲୋ ସେଇ ସାହାଲ୍ଲକ କୁମିଳିବାରତା ସାଥୀଙ୍କ

ଶିରଦୀ ହିଂଦୀରୁଦ୍ଧେ ପିଠୁର୍ଗୁଣ ରିଗଶି  
ଶ୍ରେଷ୍ଠରିଲୋପ ପ୍ରକାଶ.

ମନ୍ଦିର ପାତାଟାଟାଟାଟାଟା



ପ୍ରାଚି 40 ପାତ.

ଲ୍ଲ. ୩. ଶ୍ରେଷ୍ଠରାଶ ସାହେଲନ୍ଦିଲ ପାତାଟାଟାଟାଟାଟାଟା କୁମିଳିବାରତା „କୁମିଳିବାରତା“ ତବିଲିନ୍ଦି, ଲ୍ଲେନିନ୍ଦି ପ୍ର. № 28.

ଶ୍ରେଷ୍ଠରାଶ ନଂ 296.

ପାତାଟାଟାଟାଟାଟାଟା 1.600.